ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7170473

ნომერი: AR11051177

თარიღი : 02.08.2024

გაცემის თარიღი : 08.08.2024

გაცნობის თარიღი : 08.08.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვალენტინ თოფურიძის ქუჩა, N 29ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით პაპიძე პ/ნ 01023007335
- საქართველო, ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 3, ბინა 26

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 ივნისის №7089858 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 2 აგვისტოს №AR11051177 განცხადებით მომართა დავით პაპიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 20 ივნისის

№7089858 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით, №01.10.18.006.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი - 1632.0 კვ.მ.), მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი, საოფისე და სავაჭრო) მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2018 წლის 12 მარტის №3855508 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა ახალი საკადასტრო კოდი №01.10.18.006.186 (ფართობი – 1947.0 კვ.მ.).
სამსახურის 2018 წლის 31 აგვისტოს №4144074 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა "მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“.
სამსახურის 2019 წლის 1 ნოემბრის №4734789 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად დაფიქსირდა ს/კ: №01.10.18.006.257 (ფართობი - 2330.0 კვ.მ.) და კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტად – 4.1.
სამსახურის 2024 წლის 20 ივნისის №7089858 გადაწყვეტილებით, ისევ შევიდა ცვლილება სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდა 2359.0 კვ.მ. (ს/კ: №01.10.18.006.257).
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2024 წლის 20 ივნისის №7089858 გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტში საპროექტო მიწის ნაკვეთის მომატებულ ფართობად 29.0 კვ.მ-ს ნაცვლად არასწორად არის დაფიქსირებული 412.0 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2024 წლის 2 მაისის №AR11033260 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და საპროექტო მიწის ნაკვეთის შეცვლილი ფართობის დაფიქსირება. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და შევიდა ცვლილება დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად გადაწყვეტილების მეორე პუნქტში საპროექტო მიწის ნაკვეთის მომატებული ფართობი არასწორად დაფიქსირდა. კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია – №882019678318, მომზადების თარიღი: 26/08/2019 წ.) №01.10.18.006.257 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფართობი იყო 2330.0 კვ.მ. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია – №882024493692, მომზადების თარიღი: 22/04/2024 წ.) დაემატა №01.10.18.006.028 საკადასტრო ერთეული (ფართობი - 29.0 კვ.მ.) და შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის საერთო ფართობმა შეადგინა 2359.0 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 ივნისის №7089858 გადაწყვეტილებაში და:
1.1. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტში საპროექტო მიწის ნაკვეთის მომატებულ ფართობად 412.0 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 29.0 კვ.მ.
1.2. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353, 2018 წლის 12 მარტის №3855508, 2018 წლის 31 აგვისტოს №4144074 და 2019 წლის 1 ნოემბრის №4734789 ბრძანებებთან ერთად.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 ივნისის №7089858 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353, 2018 წლის 12 მარტის №3855508, 2018 წლის 31 აგვისტოს №4144074, 2019 წლის 1 ნოემბრის №4734789 და 2024 წლის 20 ივნისის №7089858 ბრძანებებთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.